5167/3-62/22 2 08062022

5167/3-62/22
08-06-2022

საქართველოს გენერალურ პროკურორს

ბატონ ირაკლი შოთაძეს

ბატონო ირაკლი,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია:

1. 2017 წლიდან დღემდე რამდენი საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე და 209-ე მუხლით და კონკრეტულად რა შედეგით დასრულდა აღნიშნული საქმეები. ასევე, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ განზრახ მკვლელობის მცდელობათა სტატისტიკა 2017 წლიდან დღემდე. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით.

2. 2017 წლიდან დღემდე რამდენი საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე, 285-ე და 286-ე მუხლებით და კონკრეტულად რა შედეგით დასრულდა აღნიშნული საქმეები. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ წლების მიხედვით.

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ქურდობის (177 მუხლი) შემთხვევების დეტალური სტატისტიკა 2017 წლიდან დღემდე.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე